ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა: კინომცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**კინომცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	კინომცოდნეობის ბაკალავრი Bachelor of Film Studies
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): • ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი • თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; • დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2022 წელს. პროგრამა განახლებადია ყოველ სასწავლო წლის დაწყებამდე.
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	ასოცირებული პროფესორი ნინო მხეიძე, პროფესორი გიორგი გვახარია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია მოამზადოს კინომცოდნეობის დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც:

- აქვს ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიო კინოს ისტორიის, მისი განვითარების ეტაპებისა და ჟანრების (მხატვრული (უხმო და ხმოვანი) კინო, დოკუმენტური კინო, ანიმაციური კინო) შესახებ;
- იცის კინოკრიტიკის საფუძვლები და შეუძლია კინოზე კრიტკულად წერა.

ამის გარდა, პროგრამა სტუდენტს უვითარებს დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის მნიშვნელოვან ტრანსფერულ უნარებს, როგორც არის ინდივიდუალურად და ჯგუფში მუშაობის უნარი, არგუმენტირებული მსჯელობის და კრიტიკული ანალიზის უნარი, ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით

სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

<u>პროგრამის კურსდამთავრებული კურსდამთავრებულს:</u>

1. ავლენს ფართო ცოდნას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კინოთეორიების და მათი განვითარების ისტორიის შესახებ;
2. ავლენს ფართო ცოდნას ქართული კინოს ისტორიისა და განვითარების შესახებ მსოფლიო კინემატოგრაფის კონტექსტში;
3. ავლენს ფართო ცოდნას მსოფლიო კინემატოგრაფის, მისი ჟანრებისა და მიმართულებების განვითარების შესახებ;
4. აქვს სხვადასხვა ქვეყნის, სტილისა და ჟანრის კინო-ნაწარმოების შეცნობის და კრიტიკული ანალიზის უნარი მსოფლიოს კინოს კონტექსტის გათვალისწინებით;
5. აქვს კინოში მიმდინარე თანამედროვე პროცესების და ტენდენციების ანალიზის უნარი;
6. შეუძლია ფილმის კრიტიკული შეფასებისას დაეყრდნოს შესაბამის თეორიებს (თეორიულ ჩარჩოს), მოიძიოს და გამოიყენოს სხვადასხვა რელევანტური წყარო/მონაცემები, მკაფიოდ და ზუსტად ჩამოაყალიბოს არგუმენტები და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები;
7. შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვითა და

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

8. შეუძლია სწავლის პროცესების მართვა და შესაბამისი რესურსების გამოყენება.

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- პრაქტიკული მეთოდი;
- ანალიზის და სინთეზის მეთოდი;
- პროექტები;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ფილმების ჩვენება და ანალიზი;
- დისკუსია/დებატები;
- რეფლექსია;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა.

სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდებით, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

პროგრამის სტრუქტურა

კინომცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

- **თავისუფალი კომპონენტი:** ზოგადი მოდული -60 კრედიტი
- **ძირითადი სწავლის სფერო** - 120 კრედიტი
- **დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი** - 60 კრედიტი

თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:

- შესავალი თანამედროვე აზოვნებაში I, II - 12 კრედიტი
- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა-6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO - 12 კრედიტი:

ძირითადი სწავლის სფერო -120 კრედიტი:

- კინომცოდნეობის პროგრამის სავალდებულო კურსები კოდით HUMCIGEN -72 კრედიტი
- კინომცოდნეობის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები კოდით HUMCIN - 48 კრედიტი

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: *შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.*

დასაქმების სფეროები

- სახელოვნებო ორგანიზაციებში;
- კულტურის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში;
- კინოთეატრებსა და კინოკომპანიებში, კინოსტუდიებში, ტელევიზიებში, რადიოში, ბეჭდვით (მათ შორის, გამომცემლობებში) და ციფრულ მედიაში;
- კინოფესტივალებზე;
- არქივებში;
- ხელოვნების საერთაშორისო და ადგილობრივ შემოქმედებით მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებში;
- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრში;

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია გააგრძელოს სწავლა სამაგისტრო საფეხურზე.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი";
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა E-learning და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ელექტრონული რესურსები (მათ შორის სამეცნიერო ელექტრონული ბაზები - ScienceDirect, Scopus, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Clarivate Analytics, SAGE, Cambridge Journals, Directory Of Open Access Journals და სხვა);
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;
- აკადემიური წერის ცენტრი: https://writingcentre.iliauni.edu.ge/ge/